სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, ანგარიში,

2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ

-1-

სამტრედიის მუნიციპალიტეტი თვითმმართველი ერთეულია იმერეთის რეგიონში, ადმინისტრაციული ცენტრით, ქ.სამტრედია. მუნიციპალიტეტის უმეტესი ნაწილი განფენილია კოლხეთის დაბლობზე, ხოლო მცირე ნაწილი კი საჯავახოს ზეგანზე. მუნიციპალიტეტი მოიცავს: ქალაქის, იანეთის, ბაშის, დიდი ჯიხაიშის, ეწრის, მელაურის, დაბა კულაშის ღანირის, ნაბაკევის, ოფეთის გომის, საჯავახოს, გორმაღლის, ტოლებისა და გამოჩინებულის ადმინისტრაციულ - ტერიტორიულ ერთეულებს. ფართობი 364 კვ.კმ.-ია, მოსახლეობა 2018 წლის სტატისტიკური პუბლიკაციით 45 900 ერთეულს შეადგენს. საქალაქო დასახლება - 25 600, ხოლო სასოფლო - 20 300 ერთეული.

საინტერესოა ის გარემოებაც, რომ 2021 წლის ადგილობრივ თვითმმართველობის არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 24 115-მა მოქალაქემ, რაც მოსახლეობის 53%- იყო. არჩევნების შედეგად, ჩვენი უფლებამოსილების ცნობიდან, 2021 წლის 3 დეკემბერი, თითქმის 2 წელი გავიდა. ვფიქრობ, რომ მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს უფლებამოსილების ვადის ბოლო წუთამდე, თქვენ ბატონო კოლეგებო! პირნათლად შეასრულებთ უპირველეს ვალდებულებებს სამშობლოსა და მომავალი თაობების წინაშე. და მე, როგორც მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 35-ე მუხლის1-ლი პუნქტის ,,ლ'' ქვეპუნქტის, საკრებულოს რეგლამენტის მე-18 მუხლის 1-ლი პუნქტისა და 143-ე მუხლით დადგენილი წესის შესაბამისად, ანგარიშვალებული ვარ წარვდგე საკრებულოსა და საზოგადოების წინაშე, მიმდინარე წლს გაწეული მუშაობის შესახებ. რაც ჩემთვის, როგორც რიგითი მოქალაქისა და საკრებულოს წევრისავის უდიდესი პატივი და

ვალდებულებაა.

ვაცხადებ გადაჭარბების გარეშე და აქვე გაცნობებთ, რომ გავითვალისწინებ თქვენს მიერ მოწოდებულ რჩევებსა და სხვადასხვა სახის წინადადებებს მომავალში, სამუშაო პროცესების, კანონმდებლობის ფარგლებში, უკეთ და ახალი მსოფლმხედველობის, სტრატეგიების გათვალისწინებით გადაწყვეტილების მიღების თაობაზე.

დიახ, ბატონო კოლეგებო! მივმართავ ხელისუფლებაში მყოფ ორივე ფრთის წარმომადგენლებს, პატივია, იყო შენი მშობლიური მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი, სწორუპოვრად ატარო ამომრჩევლის ნდობის მანდატი და ქვეყნის საკეთილდღეოდ გადადგა ღირსეული ნაბიჯი.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს შემადგენლობა 33 წევრს ითვლის. აქედან

22 - პარტია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს,

7 - პარტია ,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის'',

1 - პარტია ,,ლელო''-ს,

1 - პარტია ,,გახარია - საქართველოსათვის'',

და 2 - მოძრაობა ,,ხალხის ძალა''-ს წევრია.

2023 წელიც ტრადიციულად, წლის სამუშაო გეგმების დამტკიცებით დაიწყო, რომელსაც წინ უძღოდა განხილვისა და ანალიზის პროცესები საკრებულოს ხელმძღვანელებს,ბიუროს წევრებსა და კომისიის თავმჯდომარეებს შორის. ბიუროს სხდომაზე, 2023 წლის 2 თებერვალს, დამტკიცებულ იქნა მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციის სამუშაო გეგმები. ხოლო საკრებულოს 2023 წლის სამუშაო გეგმა, თქვენი მხარდაჭერით, დამტკიცებულ იქნა 2023 წლის 6 თებერვალს. რეგლამენტის შესაბამისად, ყოველი თვის პირველ ორშაბათს, 11^{00} საათზე იმართება საკრებულოს სხდომა.

- 2023 წლის 1 იანვრიდან დღემდე ჩატარებულია 12 სხდომა. მათ შორის

11 რიგითი და 1 რიგგარეშე სხდომა.

- ბიუროს სხდომა - 26, ხოლო რიგგარეშე - 1.

2023 წელს საკრებულომ განიხილა და დაამტკიცა:

- დადგენილება - 20
- განკარგულება - 149
- ბრძანება - 103

ბატონო კოლეგებო!

საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის იურიდიული დეპარტამენტის მიერ, საკრებულოს მიერ მიღებულ სამართლებრივ აქტებზე, ხორციელდება ზედამხედველობა.

მოგახსენებთ, რომ საკრებულოს მიერ მიღებულ 20 დადგენილებიდან, 3 დადგენილებაზე, მიღებულ იქნა შენიშნვები, რომლებზეც მოვახდინეთ კანონის შესაბამისი რეაგირება.

- **4 -**

მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოში ფუნქციონირებს ხუთი კომისია და 2 ფრაქცია:

- საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისია, ხელმძღვანელი ბატონი, მერაბ უღრელიძე.

  ჩატარებულია 11 სხდომა.

- ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისია. ხელმძღვანელი ბატონი

ტარიელ ცომაია. ჩატარებულია 9 სხდომა.

- იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვისა და საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისია, ხელმძღვანელი ქალბატონი მანანა სირბილაძე.

  ჩატარებულია 9 სხდომა.

- განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისია. ხელმძღვანელი: ბატონი ირაკლი მელაშვილი.

  ჩატარებულია **9** სხდომა.

- შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისია. ხელმძღვანელი: ბატონი გიორგი ლეჟავა.
  - ჩატარებულია **5** სხდომა. აქედან 4 სხდომა გაერთიანებული

საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიასთან.

- ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო'' - ხელმძღვანელი, ბატონი ტარიელ დვალიშვილი. ჩატარებულია 5 სხდომა.

- ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა'' - ხელმძღვანელი, ბატონი ემზარ შუბლაძე.

-7-

კომისიის თავმჯდომარე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის, საკრებულოს რეგლამენტის 27-ე მუხლის, მე-2 პუნქტის ,,ი'' ქვეპუნქტისა და მე-4 პუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წინაშე, როგორც კომისიის თავმჯდომარე და როგორც საკრებულოს წევრი ვალდებულია წარადგინოს ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ.

საკრებულოს წევრი

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 47-ე მუხლის ,,დ'' ქვეპუნქტის, საკრებულოს რეგლამენტის მე-15 მუხლის ,,თ'' ქვეპუნქტისა და 142-ე მუხლის შესაბამისად, საკრებულოს წევრის ურთიერთობა ამომრჩეველთან მოიცავს გაწეული მუშაობის შესახებ, ამომრჩეველთა ინფორმირებას და ანგარიშის ჩაბარებას მათთან. ანგარიშის მოსმენა ხდება საკრებულოს სხდომათა დარბაზში (მაჟორიტარი წესით არჩეული საკრებულოს წევრის ანგარიში შესაძლებელია

მოსმენილი იქნას, შესაბამისი ადმინისტრაციული ერთეულის საჯარო დაწესებულებათა დარბაზში).

ფრაქციის უფლებები.

საკრებულოს რეგლამენტის 37-ე მუხლის 1-ლი პუნქტის ,,ნ'' და ,,ო'' ქვეპუნქტების შესაბამისად, საკრებულოს ბიუროს მიერ დამტკიცებული გეგმის გათვალისწინებით, ხდება ფრაქციების მიერ გაწეული მუშაობის თაობაზე ანგარიშის მოსმენა.

მერის უფლებამოსილება

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი''-ს 54-ე მუხლის ,,ბ'', ,,ბ.ა'' ქვეპუნქტების, საკრებულოს რეგლამენტის მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის შესაბამისად, მუნიციპალიტეტის მერი, წარუდგენს საკრებულოს ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ. აქვე გაცნობებთ, რომ ბატონო კოლეგებო! ბატონი მერი ანგარიშს 2023 წელს გაწეული მუშაობის შესახებ წარმოგვიდგენს, 2024 წლის თებერვლის თვეში, ხოლო მერიის შესაბამისი სამსახურების ხელმძღვანელები კი იანვრის თვის საკრებულოს სხდომაზე.

- 2023 წლის 6 მარტს მოსმენილ იქნა მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში 2022 წელს გაწეული მუშაობის შესახებ.
- 2023 წლის 5 ივნისს კი, - სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახურის ხელმძღვანელის, ნატალია მანჯგალაძის ანგარიში, გაწეული მუშაობის შესახებ.

საკრებულოს წევრების მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სექტემბრის თვის ბოლოს შედგენილი იქნა, საკრებულოს წევრების, მათ შორის თანამდებობის პირთათვის, ფრაქციისა და საკრებულოს აპარატის ხელმძღვანელთათვის, საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეებისათვის და ბატონებო! ,,თქვენი მონა-მორჩილისათვის''00, ანგარიშის მოსმენის გრაფიკი, წლის განმავლობაში გაწეული მუშაობის შესახებ. ძირითადად, მიმდინარე წლის ოქტომბრის თვე, კანონის შესაბამისად დაეთმო ამ პროცესების წარმართვას, რომელიც დღეს დასრულდება.

საკრებულოს წევრთა მიერ გაწეული მუშაობის თაობაზე ანგარიშის წარდგენა დაიწყო მაჟორიტარი დეპუტატების მერაბ უღრელიძის, (მელაური-ეწერი) გოჩა არველაძის, (კულაში-ღანირი) და პაატა კოხრეიძის (იანეთი-ბაში) მიერ. ისინი შესაბამისი ადმინისტრაციული შენობის დარბაზში უშუალოდ შეხვდნენ მოსახლეობის წარმომადგენლებს. შეხვედრები საინტერესო, კრიტიკული და ნაყოფიერი ხასიათის გახლდათ. იყო სამართლიანი წინადადებები და აუცილებელი მოთხოვნები მათი მხრიდან. მოსმენები გაწეული მუშაობის შესახებ 18 ოქტომბერს გაგრძელდა და დღეს დასრულდება.

-9-

ბიბლიოთეკა

-10-

გასათვალისწინებელია მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ყოველი ფენის მოთხოვნები და კრიტიკული შენიშვნები, რომლებიც სათანადო შეფასებისა და აუცილებლობიდან გამომდინარე ასახვას ჰპოვებს 2024 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში. აღნიშნულთან დაკავშირებით პირველი კრიტიკული და სამართლიანი შემფასებელი გახლდათ, ჩვენი მუნიციპალიტეტის 93 წლის სახელოვანი და მრავალ ჭირს ღირსეულად გამოვლილი, ბეჭვდითი ორგანო, გაზეთი ,,სამტრედიის მაცნე''. საზოგადოების წინაშე საკრებულოს

წევრებისა და მაჟორიტარი დეპუტატების ანგარიშების წარდგენის თობაზე, შედგენილია ოქმები და დარბაზში მყოფი ნებისმიერი მსურველისათვის ხელმისაწვდომია მათი ხილვა.

ბატონო კოლეგებო! რა თქმა უნდა პროცესების წარმართვის ხარისხი და

ჩვენს მიერ გაწეული მუშაობის შეფასება საზოგადოების შესაფასებელია. ვიმსახურებთ ნდობას? ვართ კანონმორჩილნი? ვასრულებთ ღირებულების რანგში თოთოეული ჩვენგანი უფლება-მოვალეობებს? ვართ ჩვენი მიწა-წყლის ერთგული მსახურნი?..... შესანიშნავია. არ ვასრულებთ? ვერ ვასრულებთ? ..... ძალიან, ძალიან ცუდი.

-11-

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტი თავდაპირველი რედაქციით ჯამურად შეადგენდა **22 890 500** ***ლარს.*** 2023 წელს ბიუჯეტში ცვლილება 7-ჯერ განხორციელდა, ამ ცვლილებების შედეგად ბიუჯეტი განისაზღვრა 29061800 ლარით. ბიუჯეტის ზრდის ამგვარი ტენდენცია მოწმობს იმას, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე, კიდევ უფრო მეტი სოციალური და ინფრასტრუქტურული პროექტები ხორციელდება. წელს მასშტაბური პროექტები დაიგეგმა, რომლის ნაწილი დასრულებეულია, ნაწილი კი მუშა პროცესშია.

საკრებულოს ბიუჯეტი 2023 წლის მდგომარეობით შეადგენდა 1,105.5 ლარს.

ხარჯები	1 066 500 ლარი
შრომის ანაზღაურება	797.0 ათ. ლარი
საქონელი და მომსახურება	157.2 ათ. ლარი
სოციალური უზრუნველყოფა	5.0 ათ.ლარი
სხვა ხარჯები	107.3 ათ. ლარი
არაფინანსური აქტივების ზრდა	39.0 ათ. ლარი

მოგეხსენებათ, რომ სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტი კანონმდებლობის შესაბამისად, საკრებულოში განსახილველად შემოვა 2023 წლის 15 ნოემბრამდე. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტი, ძირეული შესწავლისა და შესაბამისი წინადადეების გათვალისწინებით, კიდევ ერთხელ გადაგზავნილი იქნება მუნიციპალიტეტის მერიაში 25 ნოემბრამდე, რომლის საბოლოო ვარიანტი, შესაბამისი ცვლილებების გათვალისწინებით, 10 დეკემბრიდან განხილული და დამტკიცებული იქნება საკრებულოს მიერ, დეკემბრის ბოლო რიცხვებში.

პრიორიტეტული პროექტები

ქვეყნის ხელისუფლება, პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, ყოველთვის ძირეულ ყურადღებას უთმობს, ქვეყნის მასშტაბით განსახორციელებელ სხვადასხვა დატვირთვისა და მოსახლეობის ჩართულობით, აქტუალობიდან გამომდინარე პროექტების განხორციელებას. ამის ნათელი დასტური გახლდათ, მიმდინარე წლის 20 ოქტომბერს გამართული შეხვედრა

ქ.თბილისში, ქვეყნის ხელისუფლების წარმომადგენლებთან. წარდგენილი იქნა 6 პრიორიტეტული პროექტი. შერჩეულთაგან ერთი უნდა განხორციელდეს 2024 წელს.

	6 პროექტი	სავარაუდო ბიუჯეტი (ლარი)
1	ქ. სამტრედიაში, რობაქიძის ქუჩაზე, ყოფილი პროფსასწავლებლის ადგილზე სპორტის სასახლის მშენებლობა.	14 000 000
2	ქალაქის ცენტრალურ ნაწილში მრავალბინიანი კორპუსებისა და მიმდებარე სივრცეების რეაბილიტაცია	7 000 000
3	ადგილობირივი მნიშვნელობის გზების (დაბლა გომი - კეთილაურის მიმართულება, სოფ. იანეთის შიდა გზები, სოფელ. ქორეისუბანში, სოფ. გომმუხაყრუაში,სოფ.ღანირში, სოფ. დაბლა გომში, სოფ. ბუღნარაში, სოფ. დიდი ჯიხაიშში, სოფ. ტოლებში ტელეფისის ციხის მიმართულებით) რეაბილიტაციისთვის რეგიონალური ფონდით გამოსაყოფი თანხის ლიმიტის გაზრდა 4,5 მილ. ლარით	4 500 000
4	ქალაქის ცენტრალურ ნაწილში არსებული 2 სკვერის რეაბილიტაცია	2 000 000
5	დაფნარი-წიაღუბანის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია	5 000 000
6	ბალნეოლოგიური კურორტის აღდგენა	

-13-

განათლება, ახალგაზრდა კადრებთან ურთიერთობა, მათი ჩართულობა საჯარო სამსახურში

ახალგაზრდა კადრების გამოვლენა, მომავალ თაობაზე ზრუნვა ჩვენი უპირველესი ვალდებულებაა. სასიამოვნოა ის გარემოება, რომ ისე, როგორც საკრებულოში, ასევე მერიაში ახალგაზრდა თაობამ ღირსეულად დაიმკვიდრა ადგილი და უფროს თაობასთან ერთად ჩადგა ქვეყნის აღმშენებლობის ფერხულში.

განათლება, საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს. ამის ნათელის დასტურია ის, რომ 2022-2024 წლებში ქვეყნის მასშტაბით დაგეგმილია 800 ერთეული სკოლის მშენებლობა და რეაბილიტაცია. აქედან 400 ერთეული ახალი სასწავლო სააღმზრდელო ობიექტი შეემატა ჩვენს ქვეყანას. სასიამოვნო გახლავთ ის გარემოება, რომ ჩვენს მუნიციპალიტეტში დაიწყო ქალაქის მე-4 საჯარო (მოსწავლეთა რაოდენობა 450) და ნაბაკევის (მოსწავლეთა რაოდენობა 350) საჯარო

სკოლების მშენებლობა. სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს ქალაქის N1 და ჩხენიშის საჯარო სკოლებში. თანამედროვე ნორმებისა და და მოთხოვნების გათვალისწინებით, სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულების შემდეგ, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე, ქალაქის მე-12 საჯარო სკოლა აღიჭურვა ახალი ინვენტარითა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზით. მიმდინარე წლის 20 ოქტომბერს, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი, ბატონი გიორგი ამილახვარი ბრძანდებოდა სკოლაში და მოსწავლეებს, მშობლებსა და პედაგოგიურ კოლექტივს მიულოცა ახალი 2023-2024 სასწავლო წლის დაწყება. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ამ სკოლის 6 კურსდამთავრებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეა.

ახალგაზრდა თაობის განათლებაზე ზრუნვის ნათელ დასტურს წარმოადგენს, მერიის განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცვის, ტურიზმის და ახალგაზრდულ საკითხთა სამსახურის მიერ, უკვე რამდენიმე წელია წარმატებული სტუდენტებისათვის (50%-იანი, 70-% და 100%-იანი გრანტის მფლობელი) საჩუქრების გადაცემა და ცოდნის მწვერვალებისაკენ მიმავალი გზების დალოცვა. საკრებულოს წევრები და ხელმძღვანელი პირები ცოდნის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებას მშობლიურ სკოლაში ვესწრებით.

,,ნორჩი თაობისათვის'' პირველსაწყისი განათლების მიღებისათვის საჭიროა, თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ბაგა-ბაღები. ასეთი გახლავთ, იანეთის საბავშვო ბაგა-ბაღი, ინფრასტრუქტურის კუთხით სრულიად გამართული, ახალი ინვენტარით აღჭურვილი შენობა. მიმდინარეობს სხვა ბაღების სარეკონსტრუქციო სამუშაოები.

აღსანიშნავია მოსწავლე- ახალგაზრდობის სახლთან არსებული ,,ახალგაზრდული პარლამენტისა და საკრებულოს შორის ტრადიციული ურთიერთობა. საუბრები ქვეყნის მომავალზე, პატრიოტიზმზე, საკრებულოს სხდომებზე მათი დასწრება და ურთიერთ პატივისცემა განაპირობებს მათში, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს საქმიანობით დაინტერესებას.

საკრებულოს სამუშაო გეგმის ერთ-ერთი მთავარი ნაწილია მონაწილეობის მიღება, მუნიციპალურ საბიბლიოთეკო გაერთიანების, მოსწავლე-ახალგაზრდობის, თეატრალურ, კულტურლ საგანმანათლებლო და

სპორტულ ღონისძიებებში.

-15-

,,ნიკოობა''

ბატონებო! ამ რამდენიმე დღის წინ, ღირსეულად ავღნიშნეთ არა მარტი ჩვენი მუნიციპალიტეტის, არამედ ჩვენი ქვეყნის უდიდესი წინაპრის, ნიკო ნიკოლაძის, დაბადებიდან 180-ე წლისთავი. ჩვენ გავიარეთ ჩვენი დიდი წინაპრების: ნიკო ნიკოლაძის, ილია ჭავჭავაძის, აკაკის გავლილ ნატერფალზე და უფლება არა გვაქვს იმ დიდებული წინაპრების გავლილ, გაწმენდილ, გარანდულ გზაზე სხვაგვარად მოვიქცეთ. საინტერესოა და მნიშვნელოვანია, რომ დაწესდა სახალხო ზეიმი ,,ნიკოობა''. მადლობა მერიის შესაბამისი სამსახურის ხელმძღვანელს, ქალბატონ ნატალია მანჯგალაძეს, იმ შრომატევადი სამუშაოს გაწევისათვის, რომელიც ამ დიდ, უზარმაზარ, ღონისძიებას თან ახლდა. ასევე, განსაკუთრებული მადლობა მუზეუმის ხელმძღვანელს, ბატონ გიორგი ფანცულაიას და მის თანამშრომლებს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სტუმრებს მეგზურობას, მოსწავლეები უწევდნენ. ეს ძალიან დასაფასებელია, რადგან დიდი ნიკო, დროს და სივრცეს უსწრებდა და ამის შესახებ, ჩვენმა მომავალმა თაობებმა უნდა იცოდეს.

,,ნიკოობა'', დიდი სახალხო დღესასწაული, კიდევ ერთი ღონისძიება შეემატა ჩვენი მუნიციპალიტეტის ლამაზ ღონისძიებათა რიცხვს.

-16-

-17-

ძირძველი მართლმადიდებელი ქვეყანა ვართ. მრავალ ომის ქარცეცხლს გამოვლილი: კარგად ვიცით ომით გამოწვეული ტკივილთა ფასი, შინაურთა და გარეშე მტერთა შემოტევა. გვახსოვს 9 აპრილი, 1991-1992 წლების ,,ძმათა ომი“, სოხუმის დაცემის დღე 27 სექტემბერი, 8 აგვისტო ,,შინდისის გმირები“, ვეტერანთა სხოვნის დღე, რუსეთ-უკრაინის ომში დაღუპული ქართველები. ამას დაემატა სტიქიის შედეგად შოვისა და გურიის მუნიციპალიტეტში დაღუპული მოქალაქეები, მათი ოჯახების დასახმარებლად უანგაროდ გაწვდილი დახმარების თქვენი ხელი. გმადლობთ თანადგომისათვის.

ქვეყნის ხელისუფლებისა და პრემიერ-მინისტრის სწორი პოლიტიკური კურსის გატარებით შევძლებთ ქვეყანაში მშვიდობის შენარჩუნებას და

ღირსეული ადგილის დაკავებას ევროპულ ოჯახში. მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წევრები, მერიისა და საკრებულოს საჯარო მოხელეები, ახალგაზრდა თაობასთან ერთად, ტრადიციულად პატივს მივაგებთ გმირთა ხსოვნას დიდების მემორიალთან და მათ საფლავებთან.

გთხოვთ, წუთიერი დუმილით პატივი მივაგოთ გმირთა ხსოვნას.

-18-

ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭო

ბატონო კოლეგებო! მოგახსენებთ, რომ ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს (GEMR) მიერ, ინსბრუკში, 2006 წლის მაისში, წარდგენილი იქნა ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი, ,,ევროპული ქარტია ადგილობრივ ცხოვრებაში, ქალთა და მამაკაცთა თანასწორობის შესახებ'', რომელიც მომზადებულია ევროკომისიის მხარდაჭერით. ქარტიის მიზანია მასში მონაწილეობა მიიღოს ევროპის ადგილობრივმა და რეგიონალურმა მთავრობებმა, რათა ხელი მოაწერონ დოკუმენტს და საჯაროდ დაადასტურონ ქალებისა და მამაკაცების თანასწორობის პრინციპებისადმი ერთგულება და საკუთარი ტერიტორიის ფარგლებში დანერგონ ქარტიით გათვალისწინებული ვალდებულებები.

აღნიშნულიდან გამომდინარე:

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-4 პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ე'' ქვეპუნქტის, ,,ე.ა'' ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ'', მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის N1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 94-ე მუხლის შესაბამისად, მიმდინარე წლის 2 ოქტომბერს გამართულ საკრებულოს სხდომაზე, საკრებულოს წევრებმა მისცა თანხმობა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერს, ევროპის მუნიციპალიტეტთა და რეგიონთა საბჭოს (GEMR) მიწვევით, სამტრედიის მუნიციპალიტეტის სახელით, ხელი მოეწერა და შეერთებოდა ადგილობრივ ცხოვრებაში, ქალთა და მამაკაცთა შორის თანასწორობის ევროპულ ქარტიას. შეთანხმების შესაბამისად, ხელმოწერა შედგა საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნული ასოციაციის ყოველწლიურ კონფერენციაზე, 2023 წლის 9 ოქტომბერს, ქალაქ თბილისში.

-19-

საჯარო მოხელეთა ინტეგრაციის პროგრამა

მეორე წელია მუნიციპალიტეტის საკრებულო და მერია აქტიურად ჩართულია საჯარო მოხელეთა ინტეგრაციის პროგრამაში, რომელსაც მთავრობის გადაწყვეტილებით ს.ს.ი.პ. ზურაბ ჟვანიას სახელობის სახელმწიფო ადმინისტრირების სკოლა წარმართავს და რომლის მიზანია სამუშაო გარემოში ეროვნულ უმცირესობათა საჯარო მოხელეებისათვის, პროფესიული უნარების, მათთვის სახელმწიფო ენის წარმატებით გამოყენების ხელშეწყობა და ქართულენოვან კოლეგებთან თანამშრომლობა.

-20-

საკრებულოს თავმჯდომარის და მოადგილეების ინიციატივით სტუმარი, (მსმენელი) ჟორა არუტიუნიანი, ნინოწმინდიის მუნიციპალიტეტის მერიის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის, პირველი კატეგორიის

უფროსი სპეციალისტი, სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის საკითხებში და **პრაქტიკის ხელმძღვანელი, ნიკოლოზ სანაძე,** (მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, იურიდიული განყოფილების უფროსი), მოწვეულ იყვნენ საკრებულოში. სტუმარი საფუძვლიანად გაეცნო საკრებულოში მიმდინარე პროცედურულ და სტრუქტურულ საკითხებს. ძირეული ინფორმაცია მიიღო კომისიების, ფრაქციების და საკრებულოს აპარატის მუშაობის შესახებ. შეხვედრა საინტერესოდ წარიმართა. ბუნებრივია, ასეთი საქმიანი შეხვედრები ხელს შეუწყობს საჯარო მოხელეთა ინტეგრაციის პროგრამის მაღალ დონეზე განხორციელებას.

-21-

სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან შეხვედრა

საკრებულოს ხელმძღვანელები და წევრები ვანხორციელებთ შეხვედრებს მოქალაქეებთან, ვეცნობით პრობლემებს, საკრებულოს დარგობრივ კომისიების თავმჯდომარეებთან ერთად ვმსჯელობთ მოსახლეობის პრობლემებისა და მათი მოგვარების თაობაზე, მათთან ერთად არსებულ საჭიროებებზე საუბარი მნიშვნელოვანია.

საქართველოს რეგიონებში განსახორციელებლი სხვადასხვა დასახელების პროექტები რეალურად ნათელი დასტურია მოსახლეობასთან აუცილებელი კომუნიკაციისა. უმნიშვნელოვანესია ერთად არსებულ საჭიროებებზე საუბარი და მათი ჩართულობა, მათ მიერ გამოკვეთილი პროექტების განხორციელებისათვის. ამ კუთხით ვფიქრობ, რომ უფრო ეფექტურია ,,სოფლის მხარდაჭერის'' პროგრამა რომლის შესაბამისად, მუნიციპალიტეტისა ადმინისტრაციულ ერთეულებში იმართება დასახლების საერთო კრება და საკონსულტაციო შეხვედრები. ,,სოფლის მხარდაჭერის'' პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების ეფექტურად შესრულებაზე განსაკუთრებულ მზრუნველობას იჩენენ: მუნიციპალიტეტის მერი, მერიის შესაბამისი სამსახურები, საკრებულო და საკრებულოს წევრები. კვლავ მოუგვარებელი რჩება ადმინისტრაციულ ერთეულებზე თანხების განაწილების საკითხი.

,,სოფლის მხარდაჭერის'' ფარგლებში განსახორციელებლი

სამუშაოების შესრულებას მიეძღვნა საკრებულოს 4 სხდომა.

-22-

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის დებულების 147-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტის შესაბამისად, საკრებულოს აპარატი იქმნება საკრებულოს და მისი ორგანოების საქმიანობის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით.

აპარატი უზრუნველყოფს საკრებულოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის პირველი მოადგილისა და მოადგილეების, საკრებულოს წევრების, კომისიების, ფრაქციების საქმიანობის ორგანიზაციულ, იურიდიულ, დოკუმენტურ, საინფორმაციო და მატერიალურ-ტექნიკურ მომსახურებას, მათი ეფექტური საქმიანობისათვის შესაბამისი პირობების შექმნას. ასრულებს საკრებულოს აპარატის შინაგანა წესს და ინსტრუქციებს.

აპარატი წარმოადგენს თვითმმართველი ერთეულის მუდმივმოქმედ, მუდმივ და ანაზღაურებად შტატების საფუძველზე შექმნილ ორგანოს. აპარატი შედგება 12 საჯარო მოხელისაგან, აქედან 9-შტატით გათვალისწინებული და 3-ხელშეკრულებით

აყვანილი.

მიმდინარე წლის მაისის თვეში, ,,საჯარო სამსახურის შესახებ'', საქართველოს კანონის, 126[1] მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტების შესაბამისად, მესამე რანგის, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის ვაკანტურ თანამდებობაზე გამოცხადებული იქნა ღია კონკურსი. კანონის შესაბამისად, იმუშავა საკონკურსო კომისიამ. კომისიის მიერ, კანდიდატის წარდგინებით და საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით, დანიშნული იქნა, მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ბეჟან გოგია, რომელიც გახლავთ, გამოცდილი მუშაკი, ჩვენი მუნიციპალიტეტისათვის საკმაოდ ცნობილი პიროვნება, სამტრედიის გერბისა და დროშის ავტორი.

- აპარატის თითოეული წევრი არის საქმეზე ორიენტირებული და ორგანიზებული. მასზე დაკისრებულ მოვალეობებს ასრულებენ დიდი პასუხისმგებლობით. აპარატი გამოირჩევა გუნდური მუშაობის პრინციპით.

- დახმარებას უწევს საკრებულოს წევრებს მათი უფლებამოსილებების განხორციელებაში.

- მაღალ დონეზე ახორციელებს საკრებულოში ერთიანი საქმისწარმოებისა და მოქალაქეთა მიღების ორგანიზებას;

- დაუბრკოლებლად უზრუნველყოფს საჯარო ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობას.

- აპარატში დაცულია ინფორმაციის პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულება.

მუნიციპალიტეტის საკრებულოში, საკრებულოს აპარატის საჯარო მოხელეებმა, წარმოადგინეს ანგარიში, გაწეული მუშაობის შესახებ.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ აპარატის საჯარო მოხელეები მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრებთან ერთად, საკუთარი სახსრებით, საჭიროებისამებრ, მონაწილეობას იღებენ საქველმოქმედო საქმიანობაში. კერძოდ, თურქეთის რესპუბლიკისათვის ჰუმანიტარული დახმარება და შოვში მომხდარი სტიქიის გამო, სამაშველო ოპერაციაში მონაწილეებისათვის, საკვები პროდუქტების შეძენა-მიწოდების უზრუნველყოფა. ასევე კანონის შესაბამისად, მონაწილეობას იღებენ სამტრედიის მუნიციპალიტეტში დაგეგმილ სხვადასხვა ღონისძიებებში.

თქვენს წინაშე, კიდევ ერთხელ, მინდა მადლობა გადავუხადო მათ გაწეული მუშაობისათვის.

-23-

იმერეთის სამხარეო ადმინისტრაციაში, რწმუნებულთან არსებული საკონსულტაციო საბჭოს მუშაობა.

ბატონებო! ფრიად საინტერესო და მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარებისათვის მნიშნელოვანია, სამხარეო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომები, რომელშიც მონაწილეობას ღებულობენ იმერეთის რეგიონის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელები და შესაბამისი სამსახურის წარმომადგენლები. 30 ოქტომბერს დაგეგმილ სამხარეო-საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე განხილული და მოწონებული იქნა პროექტი, რომელიც ხორციელდება, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ) -ის საგრანტო კონკურსის, ეკონომიკური და სოციალური ცხოვრების კატალიზატორის (GESL)-ის ფარგლებში. ლ. თევზაძის ქუჩაზე: საჩოგბურთო მოედნის ტერიტორია. სპორტულ-გამაჯანსაღებელი სივრცის კეთილმოწყობა, დახურული მოედანი, მზის პანელებით, გასახდელებითა და სველი წერტილებით. დანიშნულება: ჩოგბურთის პოპულარიზაცია 1600 $მ^2$ ფართობი. პროექტის ღირებულებაა 1 914 000 ლარი. აღნიშნული პროექტი მოწონებულ იქნა საკონსულტაციო საბჭოს სხდომაზე.



-24-

გამწვანების და დასუფთავების აქცია

1993 წელს, გაეროს გარემოსდაცვითი პროგრამის (UNEP) ინიციატივით დაფუძნებული საერთაშორისო კომპანია ,,დავასუფთაოთ მსოფლიო'', ყოველი წლის ბოლოს, სექტემბრის თვეში, მართავს აქციას მსოფლიოს მასშტაბით. საქართველოში, აღნიშნული ღონისძიება იმართება 2010 წლიდან,

საქართველოს მწვანეთა მოძრაობა/დედამიწის მეგობრები- საქართველოს ინიციატივით. იმავე წლიდან, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის გადაწყვეტილებით ყოველი წლის 22 მარტი აღინიშნება, წყლის რესურსების დაცვის საერთაშორისო დღედ.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები, მერიის შესაბამისი სამსახურები და ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენლები, ისე როგორც წინა წლებში, მიმდინარე წლის 22 მარტსა და 17 სექტემბერს აქტიურად ჩაერთვნენ დასუფთავების აქციაში.

ჩვენს მიერ დასუფთავებული იქნა:

ა) რესპუბლიკის ქუჩაზე მდებარე წყაროსა და ბაგა-ბაღის ტერიტორია.

-25-

ბ) ნაბაკევის ადმინისტრაციულ ერთეულში, სოფელ ხუნჯულაურის ,,წყარო''-ს მიმდებარე ტერიტორია და შიდა სივრცე.



გაცნობებთ, რომ გარემოს დაცვის ცვლილებებისადმი მედეგობის და მდგრადობის ხელშეწყობა საქართველოში, ამ ფორმატით გამართულ საინფორმაციო შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს საკრებულოს წევრებმა (31 იანვარი 2023 წელი, ვ.სტურუა, გ.არველაძე). ხოლო, მიმდინარე წლის 29 ნოემბერს, ქ. წყალტუბოში, დაგეგმილია სამუშაო შეხვედრა ფრიად აქტუალურ

თემაზე: ,,კლიმატის ცვლილებებით გამოწვეული კატასტროფების რისკების შემცირება საქართველოში, საქართველოს მთავრობის, კლიმატის მწვანე ფონდის (G.G.F.) თანადაფინანსებით და გაეროს განვითარების პროგრამის (U.N.D.P.) მხარდაჭერით. ეროვნული სააგენტოს წარმომადგენლები ისაუბრებენ პროექტის ფარგლებში შემუშავებული რისკების მნიშვნელობასა და მათი პრაქტიკაში მხარდაჭერის თაობაზე. რა თქმა უნდა ამ შეხვედრაზე მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მერიის წარმომადგენლები არიან მიწვეულები.

დარწმუნებული ვარ, რომ აღნიშნული ღონისძიებები მომავალშიც მხარდაჭერილი იქნება საკრებულოსა და მერიის მიერ.

-26-

საკრებულოსა და მერიის ურთიერთ თანამშრომლობა

ის, რაც არ უნდა შეიცვალოს და არც შეიცვლება. მუნიციპალიტეტის სამივე (III, IV და V) მოწვევის საკრებულოსა და მერიის მუშაობის ურთიერთ თანამშრომლობის პრინციპი, დაფუძნებული კანონმდებლობასა და ადამიანურ ღირსებებზე მაძლევს იმის თქმის უფლებას, რომ ეს დამოკიდებულება კვლავაც გაგრძლედება. მუნიციპალიტეტში არსებული გამოწვევებისა და პრობლემების გადალახვა მერიისა და საკრებულოს ერთობლივი მიზანი და ვალდებულებაა. ბუნებრივია, მიღწეულით არ უნდა დავკმაყოფილდეთ, ვიყოთ უნდა თვითკრიტიკული, საორგანიზაციო ეთიკის ნორმათა სრული დაცვით გავაგრძელოთ მუშაობა კიდევ უფრო საუკეთესო შედეგების მისაღწევად.

ბატონო კოლეგებო! საკრებულოს სახელით მინდა მადლობა გადაუხადო მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ დავით ბახტაძეს, მერიის დარგობრივი სამსახურის ხელმძღვანელებს და მათ დაქვემდებარბაში მყოფ საჯარო მოხელეებს.

-27-

მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროსა და სხდომების გაშუქების შესახებ

მნიშვნელოვანია დამსახურება ქვეყნისა და მუნიციპალიტეტის წინაშე, საუკუნეს მიღწეული ბეჭდვითი სიტყვის უანგარო ქომაგის, ,,სამტრედიის მაცნე''-სი, რომელსაც მიმდინარე წლის, 5 ნოემბერს, დაფუძნებიდან 93 წელი შეუსრულდა. ბატონო კოლეგებო! საკრებულოს სახელით განსაკუთრებული

მადლობა გადაუხადოთ, ჩვენი მუნიციპალიტეტის უძველეს მემატიანეს და მის შემოქმედებით კოლექტივს გაწეული მუშაობისათვის. საკრებულოში მიმდინარე პროცესების დროულად, სამართლიანად და მიუკერძოებლად გაშუქებისათვის, ბადლობა ტელეკომპანია ,,ზარი''-ს და ა.(ა).ი.პ. საინფორმაციო ცენტრის თითოეულ წარმომადგენელს.

სამტრედიის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდი

მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე www.samtredia.gov.ge პროაქტიულად გამოქვეყნების ვალდებულების შესაბამისად ქვეყნდება მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომები, ანგარიშები საკრებულოს წევრების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ და სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაცია, საკრებულოს საქმიანობის თაობაზე.

რატომ და რისთვის ვართ აქ?

ჩვენი უფლებამოსილების ცნობიდან, 2021 წელი, 3 დეკემბერი, ჩვენმა თანამოქალაქეებმა მართლაც უსაზღვრო ნდობა გამოგვიცხადეს. მათი ხელდასმით ვართ მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს წევრები, პოლიტიკური თანამდებობის პირები, მაჟორიტარი დეპუტატები, მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს წევრები და ჩვენთვის მონიჭებული უფლებამოსილების ვადით უნდა დავიცვათ კანონისა და სამართლიანობის პრინციპები. მხოლოდ გუნდური მუშაობა დაგვეხმარება საბოლოო მიზნების მიღწევაში. უნდა ვაკეთოთ ,,ქართული საქმე'' ,,ჩვენ კაცთა მოგვცა სამყარო, გვაქვს უთვალავი ფერითა'', რომელსაც გაფრთილება და მოვლა ჭირდება.

ღირსეულად გეტარებინოთ საქართველოს უღელი.

უფლის ნებით გვერგო პატივი, მომავალ თაობას გადავცეთ ძლიერი და მთლიანი საქართველო.

მე, როგორც მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, მივიღებ თქვენგან კრიტიკულ შენიშვნებსა და წინადადებებს, ვაგებ პასუხს დაშვებულ შეცდომებზე.

გმადლობთ ყურადღებისათვის. გისურვებთ წარმატებებს.